დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება, მაგისტრატურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი

08 დეკემბერი, 2025 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

2 თებერვალი, 2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5
III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 13
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 16
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 18
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 23

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ ჩხეიძე,** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თინათინ გაბრიძიძე,** ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ თხელიძე,** აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Jewellery and metalworking art
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	**მაგისტრატურა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**ხელოვნების მაგისტრი საიუველირო ხელოვნებაში / Master of Fine Arts in Jewellery Arts**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**0214.1.3 საიუველირო ხელოვნება**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	**ქართული**
ECTS კრედიტების რაოდენობა	**240**
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	**აკრედიტებული, გადაწყვეტილება N 33741 16/01/2024**
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	**შემოქმედებითი ტური**
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის 2025 წლის გეგმური მონიტორინგის გეგმის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 05/04/2025 ბრძანების (N **MES9 25 0000380493)** შესაბამისად **სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო** აკადემიაში განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება“ გეგმიური მონიტორინგი, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
საგანმანათლებლო პროგრამების **აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის №33739 გადაწყვეტილებით** „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 26 დეკემბრამდე) 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.
აკრედიტაციის პირობების მონიტორინგის გზით შემოწმების ფარგლებში განისაზღვრა აკრედიტაციის 1-ი, მე-2 სტანდარტების, მე-3 სტანდარტის 3.2 კომპონენტის, მე-4 სტანდარტის და მე-5 სტანდარტის 5.1, 5.3 კომპონენტების შეფასება. საბჭოს მიერ განისაზღვრა 27 რეკომენდაცია (**24 კლასტერული და 3 პროგრამული რეკომენდაცია) და** 7 საერთო რჩევა კლასტერში გაერთიანებული პროგრამებისთვის. „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები არ გაცემულა.
ვიზიტის განხორციელებამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გამართეს სამუშაო შეხვედრა, შეისწავლეს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიწოდებული დოკუმენტაცია: აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, მონიტორინგის პროცესისთვის დაწესებულებიდან გამოთხოვილი დოკუმენტაცია (რომელიც მოიცავდა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას, რეკომენდაციების შესრულების ამსახველი მასალებს და დამადასტურებელი დოკუმენტაციას).
2025 წლის 8 დეკემბერს წინასწარ დადგენილი განრიგის მიხედვით, თითოეულ მიზნობრივ ჯგუფთან ინდივიდუალურად (ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან, დამსაქმებლებთან/სტაჟირების განმახორციელებლ პირთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან) ჩატარდა სამუშაო შეხვედრები/ინტერვიურება, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსების შესწავლა/ დათვალიერება. ვიზიტი კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა, აკადემიის წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ თანამშრომლობით და ღია იყვნენ დისკუსიებისა და რჩევებისადმი. შეხვედრები გაიმართა მშვიდ, კოლეგიალურ გარემოში. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.
ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულების წარმომადგენლებს უაღრესად მოწესრიგებული დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის, რამაც გაუდვილა ექსპერტთა ჯგუფს მონიტორინგის პროცესში დოკუმენტების შესწავლა, საანგარიშო პერიოდში დაწესებულების

მიერ განხორციელებული აქტივობების ანალიზი და რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

გეგმური მონიტორინგის საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის №33724 გადაწყვეტილება.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სადისციპლინათაშორისო მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების ერთობლივი მუშაობის უნარს და რაციონალურად იყენებს სასწავლო რესურსებს. საერთო მიზნების მისაღწევად აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების და ასევე ფაკულტეტის პერსონალის მობილობის გაფართოება.
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს რიგი ძირითადი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და ფორმულირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი გაზომვადობა.
3. რეკომენდებულია, შემუშავებულ იქნეს ინდივიდუალური გეგმები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის, გამოავლინდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, შესაბამისი სამიზნე ნიშნულებით და საბოლოო შეფასებით. გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის ყველა სწავლის შედეგის განვითარება სამ დონეზე და სწავლის შედეგების მიღწევის დონე ლოგიკურად გაიზრდოს.
4. რეკომენდებულია, კრედიტების ოპტიმალურად გადანაწილება, რათა პროგრამა უფრო მეტად პასუხობდეს თანამედროვე ტექნოლოგიების, უცხო ენის გაძლიერების და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას.
5. რეკომენდებულია, ახალი უცხოენოვანი პუბლიკაციების დამატება ძირითად საგნებში.
6. რეკომენდებულია, გაძლიერდეს და გამოიკვეთოს საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილი.
7. რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სახელოსნოების მეტი თანამედროვე მასალებით აღჭურვა.
8. რეკომენდებულია, სტუდენტებმა მიიღონ ინფორმაცია ვორქშოფების, კრეატიული პროექტების და შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი აქტივობების შესახებ ფაკულტეტის ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ხელი მოეწეროს დეტალურ მემორანდუმებს სტუდენტებისთვის, სტაჟირების ობიექტებთან და დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის თაობაზე. რეგულარულად ჩატარდეს კურსდამთავრებულთა გამოკითხვები პროგრამის გასაუმჯობესებლად შედეგების გასაანალიზებლად.
9. რეკომენდებულია მეტი მხარდაჭერა და ფინანსური რესურსების მოძიება, რათა ხელი შეეწყოს პედაგოგთა მობილობას და მეტი შესაძლებლობების შექმნას მოწვეული ლექტორების მოსაწვევად, რაც დაემატება გამოყენებული მეთოდების დიაპაზონს. მიზანშეწონილი იქნება სტუდიების/სახელოსნოების ციფრული ეკრანებით უზრუნველყოფა, რათა პედაგოგებმა სტუდენტებისთვის ლექციები თანამედროვე და ადვილად გასაგები ფორმით წარადგინონ.
10. რეკომენდებულია, გადაიხედოს სტუდენტთა შეფასების, უკუკავშირის, გასაჩივრების და სტუდენტების განვითარების მექანიზმებს.
11. რეკომენდებულია, უცხოური წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში, რის შედეგადაც აკადემიის სტუდენტებისთვის ახალი პერსპექტივები გაიხსნება. გარდა ამისა, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებას და საერთაშორისო (პარტნიორ) უნივერსიტეტებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას.
12. ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ არის აღრიცხული სტუდენტების ჩართვა კონფერენციებსა და საგრანტო კონკურსებში, რომელიც უზრუნველყოფს მათი პროექტების დაფინანსებას. გაცვლითი პროგრამები დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა ასევე მინიმალურია. ამიტომ რეკომენდებულია, აკადემიამ კიდევ უფრო წაახალისოს სტუდენტები და აამაღლოს ცნობიერების დონე, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა მსგავს კონკურსებში.
13. რეკომენდებულია, 1,2,5,6,7 და 8 საგანმანათლებლო პროგრამებში როგორც აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეული ლექტორების განახლება.
14. რეკომენდებულია, სტუდენტებისა და მოწვეული ლექტორების მეტი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში.

15. რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სემინარები უზრუნველყოფილი იქნეს მასალებითა და ინსტრუმენტებით ისე, რომ არ შეფერხდეს სტუდენტის პრაქტიკული სასწავლო პროცესი.
16. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში (გამოფენები, ბიენალები, ვორქშოპები და ა.შ.). სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლების მეთოდების თანამედროვე ტენდენციებით. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, უნდა შეარჩიონ შესაბამისი კვლევის, სწავლების მეთოდი.
17. რეკომენდებულია, პროგრამის განვითარების ხელშესაწყობად ჩატარდეს აკადემიური/ინოვაციური სასწავლო ტრენინგები მოწვეული/აკადემიური პერსონალისთვის.
18. რეკომენდებულია, რეგულარულად ჩატარდეს პერსონალის გამოკითხვები და ანალიზი, რათა ხელი შეეწყოს პროგრამის განვითარებას.
19. რეკომენდებულია, მოწვეულ/აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის შიდა სიახლეების, აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ აკადემიის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნოს წერილობითი ინფორმაცია.
20. რეკომენდებულია, პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ძირითადი აღჭურვილობა და ხელსაწყოები მოწესრიგდეს/განახლდეს.
21. რეკომენდებულია, სილაბუსებში მითითებული წიგნები ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.
22. რეკომენდებულია, რომ დეტალურად გაწერილი ბიუჯეტები შეიცავდეს ხარჯების ჩამონათვალს ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისათვის: რამდენი დაიხარჯა ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ტრენინგების ხარჯები უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს და ა.შ.
23. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება და პროგრამის პერსონალის ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.
24. რეკომენდებულია, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა პროგრამების შეფასებაში და შედეგების ანალიზის უზრუნველყოფა ინდივიდუალური პროგრამის დონეზე.
25. რეკომენდებულია, გაიზარდოს აქცენტი კვლევაზე და საპრეზენტაციო ტექნიკებზე მუშაობის მიმართულებით.
26. რეკომენდებულია, ტექნიკური ბაზის განვითარება ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანით და შესაძლებლობების გაფართოება კეთილმოწყობის კუთხით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი სასწავლო პროცესი (4.4)
27. რეკომენდებულია, პროგრამისთვის საჭირო თანამედროვე სახელმძღვანელოების/წიგნების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად გამოვლინდა, რომ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით, თსსა-ს დიზაინის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა **სამუშაო ჯგუფი** შემდეგი შემადგენლობით: თსსა-ს და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პედაგოგები, სტუდენტები, დამსაქმებლები. **სამუშაო ჯგუფის მიზნად** განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი, სტრუქტურული და პრაქტიკული კომპონენტების გადახედვა და გაუმჯობესება აკრედიტაციის სტანდარტებისა და გარე შეფასებებით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

ჯგუფის მიერ **მუშაობის პროცესში გათვალისწინებულ იქნა** შრომის ბაზრის მოთხოვნები, სტუდენტების ინტერესები და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები. მონაწილეებმა აქტიურად ჩაატარეს პროგრამების ანალიზი, განავითარეს სასწავლო მასალები და დაადგინეს გასაუმჯობესებელი ზონები პროგრამების განვითარებისთვის.

მონიტორინგის შედეგად, აკრედიტაციის ჯგუფმა განსაზღვრა, რომ რეკომენდაციები შესრულებულია და სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
იმავდროულად, ექსპერტთა ჯგუფმა **რჩევების სახით განსაზღვრა:**

1.3. სტანდარტი:

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის ცოდნის დონის გაზრდა, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა.

4.1 სტანდარტი:

- სასურველია ადმინისტრაციამ მეტი ძალისხმევა გამოიჩინოს ფარნავაზ ლაპიაშვილის 1 ჩიხში განთავსებულ შენობა-ნაგებობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.

4.3. სტანდარტი:

- სასურველია მეტად გაძლიერდეს საერთაშორისო პროექტებში პერსონალის ჩართულობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში, სემინარებსა და გამოფენებში უფრო აქტიური მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია დაწესებულების ხელშეწყობა.
- სასურველია პერსონალის პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად კვლევითი კომპონენტის უფრო ინტენსიური ჩართვა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

- **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა

სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის ბლოკი მოიცავს 15 სპეციალობის კურსს და მთავრდება სამაგისტრო ნაშრომით. პროგრამაში დაკავებულია 5 პერსონალი ამჟამად, მათგან 2 პროფესორია, 3 ასისტენტ პროფესორი, და ერთი მოწვეული სპეციალისტი. ამ კონტიგენტიდან 2 პროფესორი ხელმძღვანელობს სადიპლომო ნაშრომებს. შესაბამისად, აკადემიურისა და მოწვეულის თანაფარდობაა 5:1, რაც ნიშნავს, რომ საერთო სასწავლო პერსონალის რაოდენობიდან უმრავლესობა აკადემიური პერსონალის აღნიშნული განაწილება უზრუნველყოფს როგორც შიდა აკადემიური კადრების სტაბილურობას, ასევე პროფესიული პრაქტიკის მქონე მოწვეული სპეციალისტების ჩართულობას სასწავლო პროცესში. პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია.

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და

საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

გამომდინარე დარგის სპეციფიკიდან სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლებისთვის შემოქმედებითი აქტივობებია (გამოფენები და პროექტები) განხილული. თუ აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებული იყო 36 პროექტი, 2024-25 წლებში დაემატა 23 ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა, ვორკშოფი და პროექტი.

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

აკადემიური პერსონალის გადინება 0-ია, მოიმატა მოწვეული პედაგოგების რაოდენობამ. აკადემიური პერსონალი ფლობს მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს. მოწვეული პედაგოგებიდან 1 ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს სოციალურ მეცნიერებაში.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

2024-2025 სასწავლო წლის მონაცემებით საიუველირო და ლითონის დამუშავების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლობს 32 სტუდენტი, ხოლო, სამაგისტრო პროგრამაზე 6 სტუდენტი.

- **თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.**

პროგრამა მდგრადია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის მაჩვენებლით. პროგრამას ჰყავს სტუდენტთა მცირე რაოდენობა. სტუდენტთა თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან არის 0.15 და მოწვეულ პერსონალთან 0.3. აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი: დენადობა 0%, შენარჩუნება 100%, მოწვეული პერსონალის შემთხვევაში: დენადობა 22.2% , შენარჩუნება 75%

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

უნდა აღინიშნოს რომ დაწესებულებამ აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი კლასტერისათვის (მათ შორის, განსახილველი პროგრამისათვის) განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით. **ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის დოკუმენტის გაცნობის საფუძველზე აღვნიშნავთ რომ, პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია კომპონენტის მოთხოვნებთან. მიზნები ნათელია და შეესაბამება სასწავლო სფეროს მოთხოვნებს და სამაგისტრო განათლების დონეს, ასევე უნივერსიტეტის მისიას; ისინი ეფუძნება სასწავლო სფეროს მოთხოვნებს და ლოგიკურად დაკავშირებულია მის შინაარსთან და შედეგებთან; ასევე შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებსა და დეტალური სფეროს გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)/ 0214 შინაარსს. თუმცა, ექსპერტთა მიერ ჩატარებული ანალიზის და საკითხის შესახებ ზეპირი მოსმენის საფუძველზე აკრედიტაციის საბჭომ რეკომენდაციად განსაზღვრა დისციპლინათშორისი მიმართულების გაძლიერება და ინტეგრირება პროგრამის სასწავლო შინაარსში და პროგრამის მიზნების მისაღწევად საერთაშრისო თანამშრომლობის განვითარება.

ინტერვიუირებამ გამოავლინა, რომ დაწესებულება აცნობიერებს სადისციპლინათაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას, რაც წარმოადგენს მომნიჯნავე დარგების ინტეგრაციის ეფექტურ მოდელს; პროგრამის წარმომადგენელთა აზრით აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია სპეციალიზებული პროგრამებისთვის ***„საიუველირო ლითონის დამუშავების ხელოვნება"*** (BA, MA), რომელიც მოითხოვს ტექნიკურ და შემოქმედებით უნარებს. რეკომენდაციების შესრულების პროცესში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. სადისციპლინათაშორისო მიდგომის გათვალისწინებით, „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების" და „მოდის დიზაინის" პროგრამებს შორის კავშირების გაძლიერების მიზნით შემუშავდა ერთობლივი სილაბუსი - „საიუველირო ნაწარმი მოდის აქსესუარებში" (3 EGTS, 4 სთ). კურსი მოიცავს სამკაულის დიზაინის, მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლას მოდის კონტექსტში. პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში გათვალისწინებულია აქსესუარების შექმნა და დამუშავება, როგორც მოდის ობიექტების, მარტივი ტექნოლოგიების გამოყენებით;
2. თსს უწყვეტი განათლების პროგრამის ფარგლებში დაინერგა ,,საიუველირო ნაკეთობათა

ტექნოლოგიების'' კურსი;
3. საიუველირო ლითონის დამუშავების ხელოვნების პროგრამასთან მიმართებით, თანამშრომლობის ეფექტურ მაგალითს წარმოადგენს სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკული MD პროგრამისა და დიზაინის ფაკულტეტის ერთობლივი პროექტი - ამერიკული MD პროგრამის ფარგლებში, არჩევით დისციპლინად შემოთავაზებულია „საიუველირო ნაწარმი (მინა, მინანქარი, დეკორტიული პლასტიკა)'' (5 EGTS, 6 სთ), რაც სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, შეისწავლონ თანამედროვე მეთოდები საიუველირო ნაწარმის შექმნისა და დამუშავების მიმართულებით.
აღნიშნული პრაქტიკები ნათლად აჩვენებს პრაქტიკულ-შემოქმედებითი მიდგომის ეფექტურობას სხვადასხვა აკადემიური დისციპლინის ინტეგრაციის პროცესში.
აკრედიტაციის პროცესში პროგრამისათვის ამ კომპონენტში განისაზღვრა რეკომენდაცია:
გაიზარდოს აქცენტი კვლევაზე და საპრეზენტაციო ტექნიკებზე მუშაობის მიმართულებით.
რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა აკადემიური პროგრამის სიღრმისეული გადახედვა და განხორცილედა შემდეგი აქტივობები, რომელიც მიზანმიმართულად ითვალისწინებს საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს, ინტერდისციპინურ მიდგომას, ტექნოლოგიური კომპონენტის გაძლიერებასა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას, **გაიზარდა აქცენტი კვლევაზე და საპრეზენტაციო ტექნიკებზე მუშაობის მიმართულებით. კერძოდ:**
თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციის გათვალისწინებით პროგრამაში გაიზარდა იმ სასწავლო კურსების წონა, რომლებიც ეფუძნება ტექნოლოგიური უნარების განვითარებასა და ექსპერიმენტული მიდგომების გამოყენებას. დიზაინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაში განხორციელდა სასწავლო კურსის შინაარსობრივი განახლება და მოდერნიზაცია, რაც მიზნად ისახავდა თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების გათვალისწინებით, სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ცვალებადი ტექნოლოგიური რეალობისთვის და ზრდის მათ პროფესიულ მოქნილობას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. საგანი **„პორტფოლიო : პრეზენტაციის სტრატეგიები" ჩასმულია II კურსის II სემესტრში** და წარმოადგენს განახლებულ მიდგომას წინა, ,,თანამედროვე ტექნოლოგიები''ს კურსის მიმართ. მისი დანიშნულებაა სტუდენტებმა დაეუფლონ პროფესიული პორტფოლიოს შექმნის, ფორმატირებისა და ციფრული პრეზენტაციის თანამედროვე სტრატეგიებს. კურსი მოიცავს ვიზუალური კომუნიკაციის, ციფრული დიზაინისა და პრეზენტაციის ინოვაციური მეთოდების ანალიზსა და პრაქტიკულ გამოყენებას.
საგანი ემსახურება ისეთ შედეგზე ორიენტირებულ სწავლებას, როგორიცაა:
- სტუდენტის უნარი, შექმნას პროფესიული, კონკურენტუნარიანი ციფრული პორტფოლიო;
- თანამედროვე პლატფორმებზე საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაცია და პოზიციონირება;
- ინდივიდუალური სტრატეგიის ჩამოყალიბება შერჩეული პროფესიული მიზნებისთვის (მაგალითად, აპლიკაცია კონკურსებზე, რეზიდენციებზე ან დამსაქმებელთან წარდგენა);
- აუდიტორიის საჭიროებების ამოცნობა და კომუნიკაციის ფორმატების შერჩევა.

კურსის შედეგები უზრუნველყოფს სტუდენტების შესაძლებლობას, ეფექტურად წარმოაჩინონ თავიანთი ნამუშევრები და ისარგებლონ ციფრული ინსტრუმენტებით სარეკლამო, ან/და მარკეტინგული მიზნობროიობისთვის

მომზადდა რეფერატის ფორმა, რომელიც დეკლარირებს სამაგისტრო ნაშრომის ღრმა ანალიზს და კვლევითი მუშაობის კომპლექსურ პროცესს საიუველირო ნაწარმის დიზაინის მიმართულებით, ასევე, მნიშვნელობა გაიზარდა საპრეზენტაციო პრაქტიკაშიც, კერძოდ,

ციფრული პრეზენტაცია: მრავალმხრივი, დინამიური და ინტერაქტიული ფორმატები, როგორიცაა სლაიდები, ვიდეოები, რაც თანამედროვე დიზაინის იდეების ვიზუალიზაციას ეფექტურად უზრუნველყოფს. ციფრული პრეზენტაციები ხელს უწყობს კონცეფციის სრულყოფილ გადმოცემას და აუდიტორიის ჩართულობის გაზრდას.

ბეჭდური პრეზენტაცია - ბეჭდური ფორმატით შესრულებული მასალების ნიმუშები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტაქტილურ და ვიზუალურ გამოცდილებას. ბეჭდური პრეზენტაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელნაკეთობისა და დეტალური ტექსტურის წარმოსაჩენად, რაც მნიშვნელოვანია საიუველირო ნაწარმის დიზაინში.

ვერბალური პრეზენტაცია - სამაგისტრო ნაშრომის შესახებ სიტყვიერი განმარტებები, არგუმენტირებული აღწერები და ჰუმანიტარული კონტექსტი, რაც აუდიტორიასთან უშუალო კომუნიკაციას უწყობს ხელს. ვერბალური პრეზენტაცია ზრდის ინფორმაციის აღქმის ხარისხს და აღწერს კონცეფციას

კვლევის პროცესის აღწერა - იდეიდან პროდუქტის რეალიზებამდე (იდეის შერჩევა და კონცეფციის შემუშავება), დიზაინის და ტექნოლოგიური კვლევა, მასალების თვისებისა და გამოყენების კვლევა

ტექნოლოგიური კვლევა - საპროექტო ტექნოლოგიები, მასალების ინოვაციური კვლევა და შერჩევა, ექსპერიმენტული მიდგომები და პრაქტიკული პროცესები

კვლევის შედეგებზე ორიენტირებული სამუშაო პროცესი - თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ინტეგრაცია, საპროექტო მუშაობის პრაქტიკული შედეგები, მიღებული გამოცდილების და დასკვნების შეფასება

აღსანიშნავია, რომ, პრეზენტაციის პრაქტიკები უზრუნველყოფს სტუდენტის - მრავალმხრივ განვითარებას, აერთიანებს თანამედროვე ციფრული და ტრადიციული პრეზენტირების ტექნიკებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიზაინერულ საქმიანობაში

ამრიგად, კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციები შესრულებულია და პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია კომპონენტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- კლასტერული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით, მკაფიოდ არის განსაზღვრული, ლოგიკურადაა დაკავშირებულია ერთმანეთთან და პროგრამის მიზნებთან. შედეგები ეფუძნება სირთულის მიხედვით ლოგიკური განვითარების პრინციპს და იძლევა სამაგისტრო დონეზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. თუმცა, აკრედიტაციის პროცესში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები ზოგიერთი სწავლის შედეგების მიღწევის მიმართულებით და აკრედიტაციის საბჭომ **რეკომენდაციად განსაზღვრა გადაიხედოს რიგი ძირითადი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და ფორმულირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი გაზომვადობა.**

მუშაობის პროცესში გადახედილ იქნა სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და ისინი ჩამოყალიბდა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, გამოყენებული იქნა SMART პრინციპები (კონკრეტული, გაზომვადი, მისაღწევი, შესაბამისი, დროის მიხედვით შეზღუდული) რაც უზრუნველყოფს მათ გაზომვადობას, პროგრესის ეტაპობრივ დაფიქსირებას და სწავლის პროცესის მიზანმიმართულ მართვას, კერძოდ : სტუდენტი სემესტრის ბოლოს წარადგენს დასრულებულ პროექტს ან/და პროექტებს, რომელიც ფასდება - 100 ქულის ფარგლებში, რაც შეესაბამება SMART- ის პრინციპებს :

- S-specific (კონკრეტული) - პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა
- Measurable (გაზომვადი) - შეფასება ქულით
- Achievable (მისაღწერვი/შესასრულებელი) - მოიცავს რეალისტურ ამოცანას
- Relevant (შესაბამისი) - უკავშირდება კურსის მიზნებს
- Time-bound (დროის მიხედვით შეზღუდული) - განსაზღვრულია ვადა (შუალედური და სემესტრის ბოლო).

განისაზღვრა **სწავლების შედეგების ეტაპები (შესაბამისი დონეების განსაზღვრითა და აღწერით) და სწავლების შეფასების სქემა.** სწავლების შედეგების მიღწევის შემოწმება ხორციელდება მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის კომპლექსურ და მიზნობრივ ანალიზს.

შეფასების ინსტრუმენტები გაწერილია სილაბუსებში, თითოეული შეესაბამება კონკრეტულ შედეგს და იკავებს განსაზღვრულ წონადობას საბოლოო შეფასებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოვლინდა, რომ ახალი მოდელის მიხედვით სწავლების შედეგების შინაარსი და ფორმულირება რეგულარულად იქნება განხილული პროგრამის განვითარების პროცესში და საჭიროებისამებრ გადამოწმდება: აკადემიური პერსონალის მიერ, სტუდენტების უკუკავშირის და დამსაქმებელთა რეკომენდაციების საფუძველზე (საჭიროების შემთხვევაში).

ასევე, განსაზღვრულია, რომ შეფასებების ანალიზის საფუძველზე საჭიროებისამებრ მოხდება შედეგების კორექტირება, რათა შედეგები დარჩეს აქტუალური და შინაარსობრივად მდგრადი.

ამჟამად, სწავლების შედეგები განსაზღვრულია იმგვარად, რომ თანხვედრაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და ზოგად კომპეტენციებთან, ინტეგრირებულია კურსის შინაარსში და თემატურ ერთეულებში და ხელს უწყობს სწავლის მიზნობრივობასა და შედეგების ეტაპობრივ განვითარებას.

ამავე კომპონენტში პროგრამისათვის განისაზღვრა რეკომენდაცია: "**განავითარეთ ტექნიკური ბაზა ამ სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების ინკორპორირებით. გაფართოვდეს შესაძლებლობები კეთილმოწყობის კუთხით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი სასწავლო პროცესი.** თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია შინაარსიდან გამომდინარე განეკუთვნება 4.4. კომპონენტს, შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე მსჯელობა სწორედ ამ ნაწილშია გადმოცემული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.2 პროგრამის სწავლის შედეგები]	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის პროცესში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და ინტერვიურირების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას შემუშავებული ჰქონდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი რეგულირდება „სწავლის შედეგების შეფასების, აკადემიური მოსწრების შეფასების და შედეგების ანალიზის მექანიზმებით", რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი N43, 17.03.2022წ. ამ რეგულაციის მიხედვით, შეფასების პირდაპირი მეთოდები მოიცავს სასწავლო კურსების შეფასებას, სილაბუსით განსაზღვრულ – შუალედურ და საბოლოო შეფასებას. მეთოდოლოგია ასევე განსაზღვრავს შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, როგორიცაა, მაგ., კურსდამთავრებულთა დასაქმების ან/და თვითდასაქმების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა შეფასება დამსაქმებლების მიერ, კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარება და ა.შ. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის ასევე შემუშავებული იყო სასწავლო გეგმის რუკები და ისინი პროგრამების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სასწავლო გეგმის რუკები უზრუნველყოფს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის კომპონენტებს შორის, ასევე განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეს (მაგ. 1,2,3), და რომ სწავლის შედეგების მიღწევის დონე ლოგიკურად იზრდება წლიდან წლამდე. თუმცა, გამოავლინა გარკვეული ხარვეზები ყველა სწავლის შედეგის სამივე დონეზე მიღწევის მიმართულებით და გასცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმის რუკების აუცილებელი გადამუშავების შესახებ. კერძოდ, გამოვლინდა, რომ არსებობს პროგრამის სწავლის შედეგები 8 და 9 ისეთი კურსების გარეშე, რომლებიც შესავალი კურსის დონის ცოდნას აძლევს სტუდენტს. ასევე გამოვლინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისთვის პირდაპირი შეფასების კონკრეტული მეთოდები არ არის განსაზღვრული.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების აკრედიტაციის პაკეტი არ მოიცავდა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმას შეფასების სამიზნე ნიშნულებით. პროგრამის სწავლის შედეგების მოქმედი მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, დაწესებულებას არ ჰქონდა მითითება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტულ მეთოდებზე. აქედან გამომდინარე, გაიცა რეკომენდაცია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და პროცესის პერიოდულობა კიდევ ერთხელ უნდა გადაფასდეს მიდგომების განახლებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკის შემუშავების შემდეგ.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის მოსმენის შემდეგ აკრედიტაციის საბჭომ გასცა რეკომენდაცია: **შემუშავებულ იქნეს ინდივიდუალური გეგმები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის, გამოავლინდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, შესაბამისი სამიზნნე ნიშნულებით და საბოლოო შეფასებით; გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის ყველა სწავლის შედეგის განვითარება სამ დონეზე და სწავლის შედეგების მიღწევის დონე ლოგიკურად გაიზრდოს.**

მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ **რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულებამ კლასტერული პროგრამებისთვის (მათ შორის **საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების"** სამაგისტრო პროგრამისთვის) შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების ინდივიდუალური გეგმა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. წარმოდგენილი

შეფასების ახალი სისტემა უზრუნველყოფს როგორც შედეგების ობიექტურ, გაზომვად დადგენას, ასევე განათლების ხარისხის უწყვეტ მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. ახალი მოდელი შემუშავდა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამიზნე ნიშნულების გამოყვანის დროს დაწესებულება დაეფუძნა პროგრამაზე დაკვირვების პრაქტიკულ გამოცდილებას. აღსანიშნავია, რომ

ახალი მოდელი მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის შესატყვის მეთოდს, შეფასების ტიპს, სამიზნე ნიშნულს და საბოლოო შეფასების კრიტერიუმებს. ასევე, დეტალურადაა ჩაშლილი შეფასების ტიპოლოგია და განსაზღვრულია შესაბამისი სამიზნე ნიშნულების (benchmarks) სქემა რაც უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურ და დიფერენცირებულ შეფასება. ამრიგად, რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვლება. აღსანიშნავია, რომ განახლებული მეთოდოლოგიით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა.

რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის ცოდნის დონეს, ინტერვიუს შედეგებმა გამოავლინა არასაკმარისი, დაბალი დონე. უნდა აღინიშნოს, ისეთი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც პროგრამების უწყვეტი განვითარებისთვის მუშაობს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროგრამის პერსონალის ჩართულობის გაზრდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების განსაზღვრის პროცესში და მათი ცოდნის საერთო დონის გაზრდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის ცოდნის დონის გაზრდა, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.3]პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა შედგენილია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება ECTS სისტემას; ის არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეფუძნება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სწავლების ხანგრძლივობა: 2 წელი (4 სემესტრი) პროგრამის მოცულობა - 125კრედიტი (ECTS), მათ შორის: სპეციალობის დისციპლინები - 85 კრედიტი; საუნივერსიტეტო დისციპლინები - 12 კრედიტი; არჩევითი დისციპლინები - 28 კრედიტი. 1 კრედიტის მოცულობა - 25 საათი. ერთი სასწავლო წელი - 2 სემესტრი, კრედიტის ოდენობა - 60 (ECTS) მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ხელოვნების მაგისტრი საიუველირო ხელოვნებაში. კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამების შინაარსს და სწავლის შედეგებს. თვითშეფასების ანგრიშის და მოწოდებული პროგრამის სტრუქტურის საფუძველზე დგინდება, რომ სპეციალობის დისციპლინებში სამუშაოს მოცულობა საკმარისია ძირითად დისციპლინებთან, საუნივერსიტეტო დისციპლინებთან და არჩევით დისციპლინებთან მიმართებაში. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, აკრედიტაციის ექსპერთა მიერ ჩატარებული ანალიზის და აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის შედეგად უმაღლესი საგანამანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განსაზღვრა რეკომენდაცია; **კრედიტების ოპტიმალურად გადანაწილება, რათა პროგრამა უფრო მეტად პასუხობდეს თანამედროვე ტექნოლოგიების, უცხო ენის გაძლიერების და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას.** რეკომენდაციის საფუძველზე დაწესებულებამ განახორციელა პროგრამის სიღრმისეული ანალიზი და ჩაატარა სამუშაო, რომელიც მიზანმიმართულად ითვალისწინებს საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს, ინტერდისციპინურ მიდგომას, ტექნოლოგიური კომპონენტის გაძლიერებასა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას.

კერძოდ, პროგრამას **დაემატა რამდენიმე არჩევითი საგანი**:

სადისციპლინათაშორისო მიდგომის გათვალისწინებით, „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ და „მოდის დიზაინის“ პროგრამებს შორის შემუშავდა ერთობლივი სილაბუსი - **„საიუველირო ნაწარმი მოდის აქსესუარებში“** (3 EGTS, 4 სთ). კურსი მოიცავს სამკაულის დიზაინის, მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლას მოდის კონტექსტში. პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში გათვალისწინებულია აქსესუარების შექმნა და დამუშავება, როგორც მოდის ობიექტების, მარტივი ტექნოლოგიების გამოყენებით;

“ლითონი 3D მოდელირებაში“ - რომლის მიზანია სტუდენტებში განავითაროს , სამგანზომილებიანი ვიზუალის მქონე, ლითონის მოდელირებისთვის აუცილებელი პროგრამული (პრაქტიკული ცოდნა) და შემოქმედებითი უნარები. პედაგოგის

ხელმძღვანელობით სტუდენტები აპროექტებენ ციფრული დიზაინის პროტოტიპებს და მცირე მასშტაბის სერიული წარმოების მოდელებს. ასევე გეომეტრიულ სივრცულ კომპოზიციებს და ლითონის ნაწარმის მოდელებს.

„გლიპტიკა“ (კამეა) - კურსის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბდეს გლიპტიკის ხელოვნებაში თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და მის ტექნოლოგიასთან და კონსტრუირების კვლევის პროცესებთან დაკავშირებული კომპენტეციები. ასევე, გაუღრმავოს მასალის (ძვალი, ნიჟარა) აღქმა-შეცნობისა და მათზე მუშაობის კომპეტენციები; მათ შორის, შეძლოს ძვლისა და ნიჟარისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპებისა და ზოგადი კონცეფციების შეცნობა, ამ ტექნოლოგიების გამოყენებით სტუდენტს განუვითარის კომპოზიციის შექმნისთვის კრეატიული აზროვნება.

2. **უცხო ენის კომპონენტის გაძლიერებისათვის** - გადახედილ იქნა უცხო ენის სწავლების ბლოკი, და შემუშავდა ახალი სასწავლო ფორმები, რომლებიც ინგლისურ ენაზე სასწავლო მასალაზე მუშაობას და პროფესიულ საკომუნიკაციო უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სტუდენტებს მიეცათ მეტი არჩევანი ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკული განვითარებისთვის. **3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებისათვის** - განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც გამომუშავდება სხვადასხვა საგანმანათლებლო დისციპლინაში და იკვეთება პროფესიულ უნარებთან, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრის უნარი, გუნდში მუშაობა, ეფექტური კომუნიკაცია და თვითმართვა. შესაბამისი მოდულები და აქტივობები მიზნობრივად ინტეგრირებულია როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით კურსებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულია.

ამრიგად, კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციები შესრულებულია და პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია კომპონენტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამა აკმაყოფილებს კომპონენტის მოთხოვნებს, სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის ძირითადი (სპეციალობის) სასწავლო კურსები, რომელთა შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ასახულია კომპეტენციის რუკაზე. თუმცა, ადგილზე ვიზიტისა და პერსონალური ინტერვიუების შედეგად, აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა გარკვეული ნაკლოვანებები, რაც აფერხებდა რიგ სასწავლო კომპონენტებში სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ნაკლოვანებები გამოვლინდა ერთის მხრივ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირების, მეორეს მხრივ სასწავლო მასალისა და სასწავლო რესურსების/ტექნიკა-დანადგარების მიმართულებით. შესაბამისად ჯგუფმა განსაზღვრა რომ არსებობს პროგრამაში სასწავლო რესურსების გაუმჯობესების (თანამედროვე მასალების გამოყენების, ტექნიკის და სასწავლო ლიტერატურის განახლების) გადაუდებელი საჭიროება იმ შედეგების მისაღწევად, რაც აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში. ასევე, ძირითადი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.

აკრედიტაციის საბჭომ წინამდებარე კომპონენტის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებს განუსაზღვრა ოთხი რეკომენდაცია:

1. **რეკომენდებულია, ახალი უცხოენოვანი პუბლიკაციების დამატება ძირითად საგნებში;**
2. **რეკომენდებულია გაძლიერდეს და გამოიკვეთოს საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილი;**
3. **კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სახელოსნოები საჭიროებს მეტი თანამედროვე მასალებით აღჭურვას.**
4. **რეკომენდებულია, გადაიხედოს რიგი ძირითადი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და ფორმულირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი გაზომვადობა.**

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტების (მათ შორის ტექნიკური საშუალებების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტების, სილაბუსების) შესწავლის, საბიბლიოთეკო რესურსების გადამოწმების, სახელოსნოების ადგილზე დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე მონიტორინგის ჯგუფი **რეკომენდაციებს შესრულებულად მიიჩნევს.** კონკრეტულად, კი დაწესებულებამ:

1. კლასტერული პროგრამების (BA/MA) მთავარ საგნებს დაემატა უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც მკვეთარად აძლიერებს სასწავლო მასალის კველვითი და საერთაშორისო ღირებულებას, კერძოდ :

- სილაბუსს ,,საწარმოო სწავლების -საიუველირო საქმე'' დაემატა -28 ინგლისურენოვანი წყარო (12 ინგლისურენოვანი და ქართული ვიდეო წყაროები);
- სილაბუსს ,,საწარმოო სწავლების-ჭედურობა'' დაემატა-14 ინგლისურენოვანი წყარო (7 ინგლისურენოვანი და ქართული ვიდეო წყაროები);
- სილაბუსს ,,საწარმოო სწავლების -მინანქრი'' დაემატა -14 ინგლისურენოვანი წყარო (12 ინგლისურენოვანი და ქართული ვიდეო წყაროები);
- კომპოზიციის სილაბუსს დაემატა - 9 ინგლისურენოვანი ლიტერატურა;
- სილაბუსს ,,პროექტირება მოდელირება'' დაემატა - 33 ინგლისურენოვანი წყარო (12 ინგლისურენოვანი და ქართული ვიდეო წყაროები).

2. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება უმთავრესად ეფუძნება პრაქტიკულ კომპონენტზე ორიენტაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიული უნარების განმტკიცებას და რეალურ გარემოში მუშაობისთვის მზადყოფნის ამაღლებას. სპეციალობების ძირითადი სასწავლო დისციპლინები გათვლილია თეორიული ცოდნის გადაცემაზე და პრაქტიკაში რეალიზებაზე. თითოეული სპეციალობის დისციპლინა მოიცავს პრაქტიკულ ამოცანებს, პროექტებზე მუშაობას, მოდელირებას, კვლევით კომპონენტებსა და კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებას.

გარდა ამისა, თსსა-სა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები (ინდმეწარმეებთან და ფლორენციის საიუველირო სკოლასთან), რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს სტრუქტურირებული და მიზნობრივი პროფესიული პრაქტიკით. პრაქტიკის ადგილები შერჩეულია ისე, რომ მაქსიმალურად ასახავდეს დარგის სპეციფიკას და დაუკავშიროს სტუდენტებს თანამედროვე შრომით ბაზარზე მოქმედ მოთხოვნებს.

ასევე, მნიშვნელოვნია, რომ, კლასტერული, მათ შორის განსახილველი პროგრამის სპეციალობის ძირითადი დისციპლინები სრულად ორიენტირებულია პრაქტიკულ სწავლაზე. მათ შორის სასწავლო დისცპლინები მოიცავს სხვადასხვა შინაარსისა და შედეგებზე ორიენტირებულ პრაქტიკებს, მათ შორის :

- ესკიზების გრაფიკული შესრულება - სტუდენტები ამუშავებენ ფორმისა და დეკორის კონცეფციებს როგორც ხელით (ფანქარი, აკვარელი, გუაში და სხვ.), ასევე ციფრულად. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ფორმის პლასტიკურობაზე, ზედაპირის დინამიკასა და ორნამენტულ სისტემებზე.
- პროექტირება ციფრული პროგრამების გამოყენებით - გამოყენებულია 3D მოდელირების პროგრამები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს დიზაინის ობიექტის ვირტუალურ კონსტრუირებაში, პროპორციების კონტროლსა და ვიზუალიზაციაში.
- კომპოზიციისა და მხატვრული დიზაინის ციფრული ტექნოლოგიები - სწავლება მოიცავს ფერადოვანი ზედაპირების დაგეგმვას ციფრულად, ორნამენტების მოდელირებას, ტექსტურის იმიტაციას 2D/3D ფორმატებში.
- მასალაში მუშაობა ხორციელდება დარგობრივი სხვადასხვა ტექნოლოგიით - მოიცავს ტრადიციულ ტექნიკებს (ლითონის (ვერცხლი, სპილენძი, ოქრო) ხელით დამუშავებას: ჭედვა,

ჭრა, შედუღება, გრავირება, მინანქარი, ქვების ჩასმა და სხვ.

- მაკეტირება და კონსტრუირება ტრადიციული და ექსპერიმენტული მეთოდებით - აქცენტი კეთდება სივრცით აზროვნებასა და ტექნიკურ-ესთეტიკური უნარების განვითარებაზე.

3. ადგილზე დათვალიერებამ და ინტერვიუირებამ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გამოავლინა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მაღალი ხარისხის მინანქრის ფერები, ფერადი ლითონები, საიუველირო ცვილი, ბუნებრივი ქვები, საიუველირო მაღალი ხარისხის თაბაშირი, აღნიშნულ მასალებში მუშაობა ხელს უწყობს შემოქმედებითი იდეების სრულფასოვან რეალიზებას, ასევე თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული პროდუქტის შექმნას. აგრეთვე, დაწესებულებამ განაახლა კომპიუტერული ტექნიკა. შეიძინა ოთხი გრაფიკული კომპიუტერი CAD/CAM და 3D დიზაინის პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული დანადგარების/ტექნიკური საშუალებების ინტეგრაციამ სასწავლო სივრცეში გააძლიერა საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილი.

4. პროგრამის განვითარების ჯგუფმა გადაამუშავა **სილაბუსები, გადახედა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს** და ჩამოყალიბდა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით. მასში გამოყენებულია SMART პრინციპები (კონკრეტული, გაზომვადი, მისაღწევი, შესაბამისი, დროის მიხედვით შეზღუდული) რაც უზრუნველყოფს მათ გაზომვადობას, პროგრესის ეტაპობრივ დაფიქსირებას და სწავლის პროცესის მიზანმიმართულ მართვას. კერძოდ: სტუდენტი სემესტრის ბოლოს წარადგენს დასრულებულ პროექტს ან/და პროექტებს, რომელიც ფასდება - მინიმუმ, 100 ქულის ფარგლებში, რაც შეესაბამება SMART- ის პრინციპებს: • S-specific (კონკრეტული) - პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა; Measurable (გაზომვადი) - შეფასება ქულით; Achievable (მისაღწერვი/შესასრულებელი) - მოიცავს რეალისტურ ამოცანას; Relevant (შესაბამისი) - კურსის მიზნებს უკავშირდება; Time-bound (დროის მიხედვით შეზღუდული) - განსაზღვრული ვადა/სემესტრის ბოლო. განისაზღვრა და აღიწერა შედეგების მიღწევის დონეები/ეტაპები (ცნობიერება, განმარტება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შემოქმედება); ჩამოყალიბდა სწავლების შეფასების სქემა (შეფასების ინსტრუმენტი, შეფასების მიზანი, კავშირი სწავლის შედეგთან). შეფასების ინსტრუმენტები გაწერილია სილაბუსებში, თითოეული შეესაბამება კონკრეტულ შედეგს და იკავებს განსაზღვრულ წონადობას საბოლოო შეფასებაში.

მნიშვნელოვანი განახლებები, რომლებიც პროგრამის შემადგენელი კურსების მიმართულებით განხორციელდა დატალურადაა აღწერილი 1.1 კომპონენტის დახასაიათების ნაწილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია.
- კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაზე "**საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება**" დასაშვებად, სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის გარდა, შემოქმედებითი ტურის ჩაბარებაც საჭიროებს. პროგრამის მოთხოვნების თანახმად, გრანტის მოსაპოვლებად დადგენილია, საგანთა პრიორიტეტული თანმიმდევრობა: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა და ისტორია. შემოქმედებითი ტურის შესახებ მონაცემები თავსდება სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდზე და აბიტურიენტს ორი თვით ადრე აქვს ამ ინფორმაციაზე წვდომა. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის გზითაც, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. პროგრამაში ასევე მოცემულია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესაბამისი წესით (როგორც საქართველოს მოქალაქეებისათვის, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ასევე უცხოეთში სწავლა მიღებული პირებისათვის). მიღების პირობები არის გამჭვირვალე და

ხელმისაწვდომი, ხოლო შესაბამის ინფორმაციას უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულება.
პროგრამა მკაფიოდ განსაზღვრავს ჩარიცხვის წინაპირობებს, მათ შორის - საგანმანათლებლო კვალიფიკაციას (სრული ზოგადი განათლების დასრულება), ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებასა და შემოქმედებითი ტურის გავლას. ჩაბარებისა და ჩარიცხვის პროცესი დეტალურად არის აღწერილი აბტურიენტის ცნობარში, აკადემიის ვებ-გვერდზე.
ჩარიცხვის პროცესი მოიცავს ინკლუზიურობას, თანასწორობასა და ხელმისაწვდომობას. მიღების ყველა წინაპირობა სრულად შეესაბამება ეროვნული განათლების მარეგულირებელ კანონმდებლობას და პოლიტიკას. პროგრამა მკაფიოდ აცნობს ჩარიცხვის მოთხოვნებს მომავალ სტუდენტებს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ინფორმირებულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- MA პროგრამის აღწერა;
- სამხატვრო აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდი;
- სტუდენტებთან, აკადემიური პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები;
- კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1 **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების თანდათანობით განვითარებას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. როგორც 1.5. კომპონენტის აღწერაშია წარმოდგენილი პროგრამა უმთავრესად ეფუძნება პრაქტიკულ კომპონენტზე ორიენტაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიული უნარების განმტკიცებას და რეალურ გარემოში მუშაობისთვის მზადყოფნის ამაღლებას. ამასთან პროგრამის განვითარების პროცესში სპეციალობის დისციპლინების კრედიტებისა და საათების გაზრდით სტუდენტი მეტად დაიტვირთა პრაქტიკული სწავლებით. პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს საბაზისო, საუნივერსიტეტო, არჩევით და სპეციალობის დისციპლინებს. მნიშვნელოვანია დასკვნითი გამოცდის ფორმატიც - ექსპოზიცია და მასალაში შესრულებული ნაკეთობა-ნამუშევრის ანოტაცია. უცხო ენის სწავლება მათ უახლესი ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების გაცნობაში დაეხმარება და იმავდროულად, საერთაშორისო კავშირების დამყარების უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს.

სტუდენტთა პრაქტიკული სასწავლო გამოცდილების გამდიდრების მიზნით, უნივერსიტეტი თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტებთან. სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან (აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან) ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში საბაზრო ურთიერთობების მომცველი დისციპლინების, ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების, ასევე თეორიული და პრაქტიკული საგნების შეჯერებული სწავლების ჩართვა ხელს უწყობს ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამგვარი ტექნოლოგიური პროგრამები სტუდენტს საშუალებას აძლევს თავიდან ნამუშევრის ციფრული მაკეტი შექმნას, შეისწავლოს მასალის გადმოცემის სხვადასხვა ტექნიკები და მეთოდები და შემდეგ გადაიტანოს მასალაში.

სამხატვრო აკადემია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტთა მომზადებას იმისათვის, რომ ისინი წარმატებით დაეუფლონ პრაქტიკულ ცოდნას. ეს მოიცავს შემოქმედებითი აზროვნების, გააზრების, სინთეზის, კვლევითი და კრიტიკული შეფასების უნარების, ადაპტაციის, პრეზენტაციისა და პროფესიული პრაქტიკული უნარების განვითარებას, აგრეთვე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვასა და გადაწყვეტილების მიღების უნარის ჩამოყალიბებას. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისას აუცილებელია პლაგიატთან დაკავშირებული ცოდნის ამაღლება და ამ მიმართულებით შესაბამის პროგრამების გამოყენება.

გარდა ამისა, ისეთი აქტივობების, როგორიცაა სტუდენტური გამოფენებისა და გაცვლითი პროგრამების ჩართვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტთა კვლევითი, პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს მათი დამოუკიდებელი პრაქტიკული უნარების ფორმირებასა და სამეწარმეო მიდგომის განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ შესაბამის საერთაშორისო ვორკშოფებში, სტუდენტურ გამოფენებში და საზაფხულო სკოლებში. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს აღინიშნა სტუდენტების მონაწილეობა ამგვარ ღონისძიებებში, თუმცა მათი რიცხვი ძალიან მცირეა და მხოლოდ პირად კონტაქტებს ემყარება. პროგრამის სტრატეგიულ გეგმებში გაწერილია ურთიერთობა FH Salzburg University of Applied Science, სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკულ MD

პროგრამასთან და უწყვეტი განათლების ცენტრთან. მონიტორინგის ფარგლებში დადასტურდა ჩამოთვლილ ორგანიზაციებთან/სუბიექტებთან თანამშრომლობის ფაქტები.
პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ების, მათი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამა ეფუძნება მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ სპეციალისტთა მონაწილეობას საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების სწავლების სფეროში. ისინი ახორციელებენ სტუდენტთა შემოქმედების ხელმძღვანელობას, უწევენ მათ კონსულტაციას და უზრუნველყოფენ მათი პრაქტიკული და თეორიული საქმიანობის ობიექტურ, პროფესიულ შეფასებას.
სამხატვრო აკადემიის მიერ შემოთავაზებული **"საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების"** სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა კომპლექსურ განათლებას, რომელიც აერთიანებს პრაქტიკულ, პროფესიულ, ტექნოლოგიურ და კვლევით (შედარებით ნაკლებად) კომპეტენციებს. ორგანიზაციებთან პარტნიორობისა და დამატებითი აქტივობების ინტეგრაციის გზით, სტუდენტები იძენენ მრავალმხრივ უნარებს, რაც მათ ამზადებს წარმატებული პროფესიული, შემოქმედებითი საქმიანობისთვის.
13.-15.09. 2023 წ. განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მომზადებული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და აკრედიტაციის საბჭოზე საკითხის ზეპირი მოსმენის შემდეგ განსაზღვრული რეკომენდაციები გათვალისწინებულია: სტუდენტები ელ.ფოსტის საშუალებით იღებენ ინფორმაციას აქტივობების შესახებ; პრაქტიკის სილაბუსები მოიცავს სტუდენტთა სასწავლო ხანგრძლივობისა და შედეგების შეფასების შესახებ ინფორმაციას. წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ კურსდამთავრებულებთან ტარდება გამოკითხვები პროგრამის სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. ასევე, როგორც 1.5. კომპონენტის ანალიზის ნაწილშია აღნიშნული, ახალი დანადგარების/ტექნიკური საშუალებების ინტეგრაციამ სასწავლო სივრცეში გააძლიერა საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილი და გაუმჯობესდა სტუდენტთ პრაქტიკული უნარები და რეალურ შრომით ბაზართან ინტეგრაციის მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- MA პროგრამის აღწერა;
- სილაბუსები;
- სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმი;
- კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია;
- სტუდენტთა შეფასების შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლებისა და სწავლის მეთოდები სრულად შეესაბამება განათლების საფეხურს, სასწავლო კურსების/საგნების შინაარსსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათი მიღწევის შესაძლებლობას. თითოეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია როგორც ტრადიციული, ისე ინოვაციური სწავლების მეთოდების გამოყენება, მათ შორის: ლექცია-დისკუსია, ლექცია-პრაქტიკუმი, სტუდიური მუშაობა, პორტფოლიო, ლაბორატორიული მუშაობა, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, განმარტებითი მიდგომები, აგრეთვე სხვადასხვა პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სილაბუსების უმრავლესობა მოიცავს როგორც აპრობირებულ, ისე ინოვაციურ სწავლის მეთოდებს (დიზაინზე ფიქრის პროცესი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ).

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის ყოვლისმომცველი ცოდნის მიწოდებაზე, რაც მოიცავს ტექნოლოგიების, მოდელებისა და პრინციპების გააზრებას, ასევე დარგში არსებული რთული საკითხების შესწავლასა და ანალიზს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებულია პრეზენტაციები, დისკუსიები. სწავლებისა და სწავლის მეთოდები სრულად შეესაბამება დადგენილი სტანდარტის მოთხოვნებს. სტუდენტთა მცირე რაოდენობა სწავლების პროცესს უფრო მეტად ინდივიდუალურ სახეს ანიჭებს და სტუდენტისა და პედაგოგის უშუალო, შემოქმედებითად დატვირთულ ურთიერთობას განაპირობებს.

13.-15.09. 2023 წ. განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მომზადებული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და აკრედიტაციის საბჭოზე საკითხის ზეპირი მოსმენის შემდეგ განსაზღვრული **რეკომენდაცია** *(„რეკომენდებულია მეტი მხარდაჭერა და ფინანსური რესურსების მოძიება, რათა ხელი შეეწყოს პედაგოგთა მობილობას და მეტი შესაძლებლობების შექმნას მოწვეული ლექტორების მოსაწვევად, რაც დაემატება გამოყენებული მეთოდების დიაპაზონს. მიზანშეწონილი იქნება სტუდიების/სახელოსნოების ციფრული ეკრანებით უზრუნველყოფა, რათა პედაგოგებმა სტუდენტებისთვის ლექციები თანამედროვე და ადვილად გასაგები ფორმით წარადგინონ“)* **გათვალისწინებულია.**

თსსა ადმინისტრაციასთან შეხვედრისას, ხაზი გაესვა პროგრამის მხარდაჭერასა და ფინანსურ ხელშეწყობას სწავლის პროცესის შეუფერხებლად განსახორციელებლად. საანგარიშო

პერიოდში სტუდიები/სახელოსნოები აღიჭურვა ციფრული ეკრანებით, სხვა კომპიუტერული ტექნიკით და პროგრამული უზრუნველყოფით, განახლდა პერსონალი და გაიზარდა სწავლების მეთოდების დიაპაზონი. აღნიშნული დადასტურდა აგრეთვე დოკუმენტების შესწავლით, მიზნობრივ ჯგუფებთან ინტერვიუირებით და ადგილზე დათვალიერებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- MA პროგრამის აღწერა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია;

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3.სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, **„საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“** საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის შესახებ წარმოდგენილი დასკვნა და

აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყოფილია ინფორმაციის გამჭვირვალობა, სანდოობა და ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

2.4 ქვესტანდარტში, „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისთვის გასცა რეკომენდაცია, რომელიც დაკავშირებული იყო სტუდენტების შეფასების, უკუკავშირის მიღების და გასაჩივრების მექანიზმებთან. ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნაში ვხედავთ, რომ ინტერვიუებისას სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს უკუკავშირის მიღების პრობლემას. ასევე, გამოვლინდა ცნობიერების დაბალი დონე გამოცდის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებით. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ექპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაცია: **„რეკომენდებულია, გადაიხედოს სტუდენტთა შეფასების, უკუკავშირის, გასაჩივრების და სტუდენტების განვითარების მექანიზმებს“.**

აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო აღნიშნული საკითხის შესწავლას. ინტერვიუებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად იღებენ უკუკავშირს საკუთარი ლექტორებისგან. მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ლექტორებთან ერთად ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს, შესაბამისად უშუალოდ პროცესში მსჯელობენ საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებლით მხარეების შესახებ. რამდენიმე სტუდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც უკმაყოფილონი იყვნენ გამოცდებში მიღებული შედეგებით, ფაკულტეტთან კომუნიკაციის შემდეგ და მიიღეს დამაკმაყოფილებელი უკუკავშირი.

სტუდენტებთან ინტერვიუებისას მიღებეულ შედეგებს ამყარებს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტებიც. თსს აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, სტუდენტს უფლება აქვს: მოითხოვოს გამოცდებში მიღებული შედეგების გასაჩივრება. ნიშნის გამოცხადებიდან ან საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტს არა უმეტესს 15კალენდარული დღის ვადაში შეუძლია წერილობით მიმართოს ფაკულტეტს, მიღებული შეფასების გადახედვის ან გაცდენილი შეფასების აღდგენის მოთხოვნით. ფაკულტეტის საბჭო ვალდებულია, შემჭიდროვებულ ვადებში განიხილოს სტუდენტის განცხადება. დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეადგინოს კომისია

და დანიშნოს გასაჩივრების დღე. მიღებული გადაწყვეტილება კი ეცნობება დაინტერესებულ სტუდენტს.

ასევე, შემუშავდა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულ მიღებულ იქნა შიდა და გარე მობილობის აპელაციის წესი, რომელიც ეფუძნება თსსა-ის შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტს და უზრუნველყოფს მობილობის პროცესში წარმოშობილი საკითხებისა და დავების განხილვის მკაფიოდ განსაზღვრულ ფორმალურ ჩარჩოს. დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და აკადემიის შიდა ნორმატიულ აქტებს და არეგულირებს აპელაციის წარდგენის პირობებს, ვადებსა და ფორმას, განხილვის ეტაპებს, აგრეთვე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ფორმირების წესს. აღნიშნული წესი სრულად მოიცავს მობილობის შედეგების გასაჩივრების პროცესს და ქმნის მის სამართლიანად, გამჭვირვალედ და ობიექტურად განხორციელების მექანიზმებს.

აღნიშნული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში, დეტალურადაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, უკუკავშირის მიწოდების ფორმები და ეტაპები; როგორც უკვე აღვნიშნეთ, **იურიდიული აქტები** არეგულირებს როგორც აკადემიური შეფასებების, ასევე ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცესს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სტუდენტებთან გასაუბრებისას მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებამ შეასრულა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია, გაუმჯობესა უკუკავშირის მიღებისა და შედეგების გასაჩივრების მექანიზმები, ასევე, წარმატებით იმუშავა სტუდენტების ცნობიერების ამაღლებაზე აღნიშული მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსს აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შიდა და გარე მობილობის აპელაციის წესი;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდეთ ტრენინგები პლაგიატის სისტემასთან დაკავშირებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

3.2 ქვესტანდარტის ფარგლებში, აკრედიტაციის ექპერტებმა გასცეს ორი რეკომენდაცია, რომელიც ასევე გაზიარებულ იქნა საბჭოს მიერ. პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა: *„უცხოური წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორების აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებას და საერთაშორისო (პარტნიორ) უნივერსიტეტებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას“.* დაწესებულებამ შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს შემდეგ პრიორიტეტებს:

- გაცვლითი პროგრამები;
- ინტერდისციპლინარული დიზაინის კვირეულები;
- ვორქშოფები, მასტერკლასები და კულტურული ღონისძიებები.

როგორც პერსონალთან ინტერვიუებისას აღინიშნა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება გამოწვევას წარმოადგენს უნივერისტესთვის, საიუველირო პროგრამების სიმცირის გამო. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ გააფორმა რამდენიმე მნიშვნელოვანი მემორანდუმი (ინდმეწარმეებთან და ფლორენციის საიუველირო სკოლასთან) და გააუმჯობესა გაცვლით პროექტებში ჩართული სტუდენტების მაჩვენებლები.

2025 წელს ზალცბურგის საერთაშორისო და ინტერდისციპლინარული დიზაინის კვირეულში მონაწილეობა მიიღო პროგრამის საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება ასისტენტ-პროფესორმა პაატა საბაშვილმა. პროექტში მონაწილეობა ხაზგასმულია როგორც აკადემიური პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარების მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

2023–2025 წლებში ზალცბურგის დიზაინის კვირეულში აქტიურად ჩაერთნენ საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების მიმართულების სტუდენტები სამაგისტრო პროგრამა: ლიკა წერეთელი; საბაკალავრო პროგრამა: III კურსი – ელენე ნაცვლიშვილი, ეკა საპანაძე /IV კურსი – ბარბარე ზურაბიშვილი, ანა ხოზიაშვილი.

პროეტში მონაწილეობა უზრუნველყოფდა ცოდნის გაცვლას, საერთაშორისო გამოცდილების მიღებას და შესაძლებლობას ინტერდისციპლინურ პროექტებში ჩართულობისთვის.

სამხატვრო აკადემიაში 2025 წელს გაიმართა დიზაინის საერთაშორისო “დიზაინ კვირეული” . აღნიშნულმა კვირეულმა ბათუმში უმასპინძლა ზალცბურგის, შტუტგარდის, სტამბულის, ჩეხეთის უნივერსიტეტების პროფესორებსა და სტუდენტებს. თსსა დიზაინ კვირეულის სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს საიუველირო და ლითონის დამუშავების პროგრამის სტუდენტებმაც.

ექსპერტთა მიერ გაცემული მეორე რეკომენდაცია შეეხება სტუდენტების სხვადასხვა სახის აქტივოებებში ჩართულობას: *“ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ არის აღრიცხული სტუდენტების ჩართვა კონფერენციებსა და საგრანტო კონკურსებში, რომელიც უზრუნველყოფს მათი პროექტების დაფინანსებას. გაცვლითი პროგრამები დაინტერესებული*

სტუდენტების რაოდენობა ასევე მინიმალურია. ამიტომ რეკომენდებულია, აკადემიამ კიდევ უფრო წაახალისოს სტუდენტები და აამაღლოს ცნობიერების დონე, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა მსგავს კონკურსებში".

ინტერვიუებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად იღებენ უნივერსიტეტისგან ინფორმაციას მიმდინარე აქტივობების და შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მონაწილეობა მიიღეს ყაზახი პროფესორის ვორქშოპში, რომელიც გაიმართა ექსპო-ჯორჯიას პავილიონში. ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნულ სასახლეში გამართულ „მინანქრის სიმპოზიუმზე". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა გაზრდილია, თუმცა სასურველია, დაწესებულებამ კიდევ უფრო გააუმჯობესოს მიღებული შედეგები. სტუდენტებთან.

დაწესბულებაში ვიზიტის და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 3.2 ქვესტანდარში გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად, თუმცა სასურველია, რომ უნივერისტეტმა კვლავ გააგრძელოს აღნიშნული მიმართულებით მუშაობა და კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო შესაძლებლობა შესთავაზოს საკუთარ სტუდენტებს.

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**2**
მაგისტრანტების რაოდენობა	**6**
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	**0.3**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- **„საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების"** სამაგისტრო საგამანათლებლო პროგრამა;
- **„საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების"** სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის ოქმი;
- აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2_მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში პერსონალის ჩართულობა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და სამხატვრო აკადემიის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის პერსონალი შედგება შესაბამისი პროფესიული და აკადემიური კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებისაგან, რომელთა გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სწავლის მაღალი შედეგების მიღწევას. დიდი გამოცდილების მქონე თანამშრომლები ინტენსიურად მონაწილეობენ პრაქტიკულ აქტივობებსა და სხვადასხვა პროექტებში. სტუდენტთა მცირე რაოდენობა და პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობა სწავლების მაღალ ხარისხს განაპირობებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მათ შორის მათი ბალანსი და აფილირებული თანამშრომლების წილი, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და პერსონალის მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. აკრედიტაციის პროცესში განისაზღვრა კლასტერული რეკომენდაცია: **რეკომენდებულია, 1,2,5,6,7 და 8 საგანმანათლებლო**

პროგრამებში როგორც აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეული ლექტორების განახლება. განსახილველ **პროგრამაში N6** რეკომენდაციია შესაბამისად განხორციელდა პერსონალის განახლება:

1. პროგრამის ფარგლებში მოწვეულია ანა ბაშაური, რომელიც კითხულობს არჩევით კურსს: „სამკაულის 3D მოდელირება“. ანა ბაშაურის პროფესიული გამოცდილება მოიცავს თანამედროვე წარმოების ციფრულ ტექნოლოგიებს, მათ შორის კომპიუტერულ მოდელირებას და სივრცული კომპოზიციების შექმნას. ანა ბაშაურის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, ხელს უწყობს სტუდენტებს დიზაინის შექმნის პროცესში და საშუალებას აძლევს მათ შექმნან ინოვაციური, მაღალი ხარისხის სამკაული და ლითონის ნაწარმი.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განახლების პროცესის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ზოგადსაგანმანათლებლო (ფაკულტატური) კურსების შინაარსობრივი გაძლიერება, რაც მიზნად ისახავს სტუდენტებში ჰოლისტური აზროვნების განვითარებასა და ფართო კულტურული კონტექსტის გააზრების ხელშეწყობას. ამ მიზნის შესაბამისად, 2024–2025 სასწავლო წლის განახლებული სასწავლო მოდულების ფარგლებში, ფილოსოფიისა და მენეჯმენტის სასწავლო კურსი დაკომპლექტდა სფეროს მაღალკვალიფიციური და პრაქტიკულად გამოცდილებით გამორჩეული სპეციალისტებით, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამების ინტერდისციპლინურ და პრაქტიკულ ღირებულებას.

დიზაინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების, სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტი'' - ს წასაკითხად მოწვეულია, ბ-ნი ოთარ ქირია (ეკონომისტი და კულტურული მენეჯმენტის პრაქტიკოსი). კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებში თანამედროვე მენეჯერული ხედვის, ანალიტიკური დაგეგმვისა და კომუნიკაციის უნარების გაღრმავებას. მისი პროფესიული ბექგრაუნდი მოიცავს: საერთაშორისო პროექტების მართვის პრაქტიკას, სამთავრობო და კერძო სექტორში სტრატეგიული დაგეგმვისა და დაფინანსების გამოცდილებას, კრეატიული სტარტაპების მენტორობასა და პროგრამების კოორდინაციას. კურსის სტრუქტურა აერთიანებს თეორიასა და პრაქტიკას : სტუდენტები მუშაობენ რეალურ ქეისებზე, ქმნიან ბიზნესმოდელებს, სწავლობენ ბიუჯეტის შედგენასა და დაგეგმვის პროცესს, ეუფლებიან პრეზენტაციის და გუნდური მართვის მეთოდოლოგიას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მენეჯმენტის სპეციფიკურ საჭიროებებზე (ფინანსური მოდელი, მიზნობრივი აუდიტორია და სამოქმედო სტრატეგიის განვითრება)

სამაგისტრო პროგრამაზე სულ იკითხება 15 სპეცილობის საგანი, რომელიც მიჰყავს პროგრამაში დაკავებულ 5 პედაგოგს. ამჟამად, მათგან 2 პროფესორია (კონკურსის წესით, პროგრამას დაემატა კიდევ 1 პროფესორი), 3 ასისტენტ პროფესორი, 1 მოწვეული პედაგოგი. ამ კონტიგენტიდან 2 პროფესორი ხელმძღვანელობს სადიპლომო ნაშრომებს. მთლიანობაში პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 პედაგოგი. ამრიგად, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას.

პროგრამის ხელმძღვანელები დარგის გამოჩენილი და მაღალკვალიფიციური პროფესორები არიან, რომელთაც გააჩნიათ როგორც პრაქტიკული, ისე აკადემიური გამოცდილება პროგრამის ეფექტური განხორციელებისა და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

თუმცა აკრედიტაციის პროცესში განისაზღვრა კლასტერული რეკომენდაცია, რომელიც ამ პროგრამაზეც ვრცელდება: **რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში (გამოფენები, ბიენალები, ვორქშოპები და ა.შ.).**

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლების მეთოდების თანამედროვე ტენდენციებით. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებმა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, უნდა შეარჩიონ შესაბამისი კვლევის, სწავლების მეთოდი.

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ჩანს დაწესებულების აქტიურობა ამ რეკომენდაციის შესრულების კუთხით. სამაგისტრო პროგრამის ხარისხიანობის განსაზღვრისა და განმტკიცების მიზნით, კლასტერული პროგრამების ხელმძღვანელები აქტიურად ერთვებიან საერთაშორისო პრაქტიკაში - მონაწილეობენ საერთაშორისო ღონისძიებებში, აგრეთვე პარტნიორობენ უნივერსიტეტებთან და პროფესიულ პლატფორმებთან, რაც ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესში აქტიურია კომპლექსური და ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების სრულ განვითარებას, აერთიანებს ხელოვნებას, ტექნოლოგიას და თანამედროვე დიზაინის კვლევებს, მათ შორის **სწავლების თანამედროვე მეთოდები**, რომლებიც ეტაპობრივად ინერგება პროგრამაში, მოიცავს შემდეგს:

- **სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება** - ინდივიდუალური მიდგომები, პრაქტიკული პროექტების ბაზაზე სწავლა;
- **ინტერდისციპლინარული სწავლება** - სხვადასხვა სფეროს გაერთიანება დიზაინის ჭრილში
- **სტუდენტური პორტფოლიოს განვითარება** – შეფასებისას პორტფოლიოს მნიშვნელობა მაღალია
- **ციფრული პლატფორმებისა და სფეროს ტექნოლოგიების ინტეგრირება** - 3D მოდელირება

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, თემისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელები სტუდენტთან ერთად ირჩევენ შესაბამის კვლევით და სწავლის მეთოდს, როგორიცაა:

- **ექსპერიმენტული კვლევა** – ახალი ფორმების, ტექნოლოგიების და მასალების პრაქტიკული კვლევა;
- **პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა** - კვლევა, რომელიც ეფუძნება შექმნის პროცესს;
- **კომპარატიული კვლევა** – დიზაინის სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში შესწავლა;
- **მეთოდოლოგიური სინთეზი** – ინტერდისციპლინური მიდგომები

ზემოთაღნიშნული მეთოდური მიდგომა იძლევა საშუალებას, თითოეული სტუდენტის მუშაობა იყოს კვლევითად გამართლებული, ინტელექტუალურად მდგრადი და პროფესიულად გააზრებული, კერძოდ, .

,,საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება'' MA - პროგრამა ინტერდისციპლინურ კვლევას ეფუძნება - სტუდენტები სწავლობენ საიუველირო ხელოვნების მასალებთან ურთიერთობას (ლითონების და ქვების თვისებების გათავლისწინებით დიზაინის ფორმასა და ფუნქციას, ასევე თანამედროვე მიგნებებს ტექნოლოგიებში, პროგრამა აერთიანებს ტრადიციულ ხელოსნობას და კომბინირებულ მასალებს, ინტერიერის დეკორატიულ კომპონენტებს, კულტურულ კოდსა და ნარატივებს. სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ პროექტებზე, პროტოტიპების შექმნაზე, მონაწილეობენ საერთაშორისო ვორქშოფებში.

პროგრამის განხორციელებას და სტუდენტების მხარდაჭერას უზრუნველყოფს შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალიც.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	5	**5**	**-**	**5**
- პროფესორი	2	2	-	2
- ასოცირებული პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტ-პროფესორი	3	3	-	3
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	5	5	-	-
სამეცნიერო პერსონალი				
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი				

13.-15.09. 2023 წ. ჩატარებული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა დასკვნის საფუძველზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები გათვალისწინებულია; განახლდა პერსონალი ახალი კვალიფიციური კადრებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეესაბამება სტანდარტს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერული აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- MA პროგრამის აღწერა;
- პერსონალის CV-ები;
- პერსონალის სია;
- სილაბუსები;
- სემესტრული დატვირთვა;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან.

[რეკომენდაციები]

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია ადმინისტრაციამ მეტი ძალისხმევა გამოიჩინოს ფარნავაზ ლაპიაშვილის 1 ჩიხში განთავსებულ შენობა-ნაგებობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პერსონალი სტუდენტებს უწევენ აქტიურ ხელმძღვანელობას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ნაწილში, ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული მთლიანად პროცესში, ხელმძღვანელობს თეორიული და პრაქტიკული ნაწილის სწორად შესრულებას. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს ხელმძღვანელს კონკრეტული საკითხის განსახილველად, სასწავლო კურსით განსაზღვრული საკონსულტაციო საათის მიღმაც აქტიურად თანამშრომლობენ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ფარგლებში.

მაგისტრანტის კვალიფიკაცია და კომპეტენცია დარგთან სრულად შესაბამისობაშია, მათ ნამდვილად აქვთ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება რაც პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს ნაკლებად იცნობს მოწვეული პერსონალი. საჭიროა მათ ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები, რაც პროგრამის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

დაწესებულების შიდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმღვანელის უფლემამოსილება, ვალდებულებასთან ერთად, დებულებაში მკაფიოდ გაწერილი კრიტერიუმები რომლის მეშვეობითაც შესაძლებლობა ეძლევა დარგის სპეციალისტს პროგრამაში ჩართვის.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**2**	**-**	**2**
- პროფესორი	2	-	2

- ასოცირებული პროფესორი	-	-	
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერული აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- MA პროგრამის აღწერა;
- პერსონალის CV-ები;
- პერსონალის სია;
- ინტერვიუ ნაშრომის ხელმძღვანელებთან.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია]	შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამხატვრო აკადემიაში ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება, შესავსები ანგარიშის ფორმით და მიღებულ შედეგებს იყენებენ პერსონალის

პროფესიული განვითარების, ასევე პროგრამისა და ზოგადად სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
თვითშეფასების ანგარიშის დანართებში წარმოდგენილია პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები და შედეგები, სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები.
თუმცა, ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ მოწვეული პერსონალი, ერთი მხრივ, სრულად არ არის ინფორმირებული პროფესიული ზრდის შესაძლებლობების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას პროფესიული განვითარებისა და აღიარების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა სხვადასხვა ტრენინგებსა თუ გაცვლით პროგრამებში, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მასალების ასათვისებლად. წარმოდგენილი მასალებით ჩანს, პერსონალი მონაწილეობს სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოურ პროექტებსა (ზალცბურგი, ჰალე, ამერიკული MD პროგრამა, ნიდერლანდები) თუ გამოფენებში.
რეკომენდაციის საფუძველზე პროგრამა „საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება“ აგრძელებს განვითარებას საერთაშორისო პროექტებში პერსონალის ჩართულობის გასაძლირებლად. ერთი თვალსაჩინო მაგალითია მონაწილეობა ავსტრიაში, ზალცბურგში ჩატარებულ დიზაინის საერთაშორისო კვირეულში, რომელიც მიზნად ისახავს ინტერდისციპლინური პრაქტიკის ხელშეწყობას, კერძოდ :
1. ზალცბურგის საერთაშორისო/ინტერდისციპლინარული დიზაინ კვირეული -2025
ორგანიზატორი : ავსტრიის ზალცბურგის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი - FH Salzburg University of Applied Sciences.
2025 წელს ზალცბურგის საერთაშორისო და ინტერდისციპლინარული დიზაინის კვირეულში მონაწილეობა მიიღო პროგრამის საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება ასისტენტ-პროფესორმა პაატა საბაშვილმა. პროეტში მონაწილეობა ხაზგასმულია როგორც აკადემიური პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარების მნიშვნელოვანი ნაბიჯი.
პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და მათი საქმიანობას წახალისებისათვის, სასურველია აკადემიამ განახორციელოს და კოორდინაცია გაუწიოს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს დარგის გააქტიურებას, მათ შორის ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც აფინანსებენ შემოქმედებით პროექტებს, ასევე საერთაშორისო არენაზე (პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების ინიცირება) და ხელი შეუწყოს მათში აკადემიური პერსონალის ჩართულობას, რაც განიხილება პროფესიული განვითარების ინსტრუმენტად. აშკარაა დაწესებულების მუშაობა სტუდენტებისა და მოწვეული ლექტორების საერთაშორისო პროექტებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, თუმცა ეს მიმართულება კვლავაც გაძლიერებას საჭიროებს. სასურველი იქნებოდა მათი უფრო აქტიური ჩართვა ამ პროცესებში.

13.-15.09. 2023 წ. ჩატარებული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მეტ-წილად გათვალისწინებულია; პროგრამის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია, რომელიც ეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სპეციალიზებული სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ჩატარებას. 2024 წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა: **კომპიუტერული საოფისე**

პროგრამები - მიზანი იყო პერსონალის კომპეტენციის ამაღლება საოფისე დოკუმენტაციის მართვაში, ცხრილებთან მუშაობასა და ელექტრონულ კომუნიკაციაში (MS Word, Excel, PowerPoint, Outlook). **ინგლისური ენა** - უზრუნველყოფილი იყო ენის შესწავლის ორი პარალელური კურსი, რაც ითვალისწინებდა როგორც საწყის, ისე სამუშაო კონტექსტში გამოყენებადი აკადემიური ინგლისურის განვითარებას. ტრენინგების მიზანი იყო კომუნიკაციური უნარების გაძლიერება საერთაშორისო თანამშრომლობის და გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერისთვის. აღნიშნული ტრენინგები მნიშვნელოვანწილად ზრდის პედაგოგიური გუნდის ციფრულ, საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და ემსახურება ფაკულტეტზე მიმდინარე აკადემიური პროცესების ხარისხიან განვითარებას. დაწესებულება აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას და დაგეგმილი აქვს: პერსონალის მონაწილეობის გაფართოება საერთაშორისო ტრენინგ პლატფორმებსა და პარტნიორულ პროგრამებში; ასევე, **დაწესებულება ატარებს გამოკითხვებს**, ახდენს ფაკულტეტის პედაგოგთა საჭიროებების რეგულარულ ანალიზს და **ტრენინგების შერჩევას** ინდივიდუალური კომპეტენციების გაძლიერების მიზნით. სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტზე აქტიურად მუშაობენ აკადემიური საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმების განვითარებაზე და გამოყენებაზე. ფაკულტეტის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას უნივერსიტეტის შიდა სიახლეების, მიმდინარე აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ. ეს ხდება ადმინისტრაციული რესურსების, ელექტრონული ბაზებისა და ოფიციალური და არაოფიციალური (სოციალური გვერდები) კომუნიკაციის არხების სისტემატური და ორგანიზებული გამოყენებით. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ინფორმაცია პროფესიული განვითარების შესახებ პერსონალს ეგზავნება ელ-ფოსტით. დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს გასაუმჯობესებელი მხარეებიც და გეგმავს ინფორმაციის ინტეგრირებული მართვის სისტემის დახვეწას, მაგ.: მუშაობს შექმნას ერთიანი ინტეგრირებული პლატფორმა, რომელიც ელექტრონულ ფოსტასა და ვებ-გვერდს გააერთიანებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის ერთიანობას და მობილურობას. ასევე, განავითაროს მულტიმედიური არხები (ვიდეო რგოლები, პოდკასტები და სოციალური ქსელები), რაც ვიზუალურად და ეფექტურად გაავრცელებს სასწავლო და სხვა მიზნობრივ ინფორმაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის აქტივობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი ინფორმაცია
- შეფასების შედეგების ანგარიში;
- კლასტერული აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მეტად გაძლიერდეს საერთაშორისო პროექტებში პერსონალის უფრო აქტიური ჩართულობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში, სემინარებსა და გამოფენებში უფრო აქტიური მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია დაწესებულების ხელშეწყობა.
- სასურველია პერსონალის პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად კვლევითი კომპონენტის უფრო ინტენსიური ჩართვა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება ორი სხვადასხვა მისამართზე განთავსებულ შენობაში, გრიბოედოვის ქ. N22 და ფ. ლაპიაშვილის 1 ჩიხში მდებარე სივრცეებში. საუნივერსიტეტო სასწავლო გარემო - სახელოსნოები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და სასწავლო ლიტერატურით. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის გაცნობისას ირკვევა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს (**13.-15.09. 2023 წ.**) თსსა-ის შენობაში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების გამო ბიბლიოთეკა იცვლიდა ადგილს, ფართოვდებოდა და ეწყობოდა სამკითხველო დარბაზი. მონიტორინგის პროცესში, ადგილზე დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ თითქმის დასრულებულია ბიბლიოთეკის სივრცეების, საცავების, სამკითველო დარბაზების ფუნქციონირებისთვის მომზადება.

ბიბლიოთეკაში ქართულენოვანი თანამედროვე გამოცემები ცოტაა, მაგრამ არის თსსა-ს მიერ ქართულად თარგმნილი ტექნოლოგიური სახელმძღვანელოები (0214.1.2., 0214.1.4.). პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი საბიბლიოთეკო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ბიბლიოთეკა და ელექტრონული ბაზები ხელმისაწვდომია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის. თუ აკრედიტაციის ექსპერტთ დასკვნაში აღნიშნული იყო რომ ელექტრონული მონაცემთა ბაზა საჭიროებდა გაუმჯობესებას, იგი არ

ფუნქციონირებდა გამართულად, მონიტორინგის ფარგლებში ბიბლიოთეკის დათვალერების დროს დადასტურდა ბაზების, ელ. ბიბლიოთეკის გამართული მუშაობა.
ასევე, სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, ბიბლიოთეკას გადაეცა შესაბამისი ბეჭდური გამოცემები. პარალელურად, ელექტრონული PDF ვერსიები ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს სტუდენტების წვდომას სასწავლო რესურსებზე. ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობა ასევე გაგრძელდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომავალშიც ყველა ახალი სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა დროულად აისახოს როგორც ბეჭდურ, ასევე ციფრულ ფორმატში
ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის მუდმივი დამატება სასწავლო პროგრამებში არის უმნიშვნელოვანესი პირობაა ხარისხიანი, თანამედროვე განათლებისთვის. უზრუნველყოფს სტუდენტების კვლევითი კულტურის განვითარებას და მათთვის ღირებული რესურსების ხელმისაწვდომობას, კერძოდ, კლასტერული პროგრამების (BA/MA) ძირითადი საგნების სილაბუსებში დაემატა უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო მასალის კვლევით ღირებულებას.
საწარმოო სწავლების - საიუველირო საქმე - დაემატა 28 ინგლისურენოვანი წყარო (12 ვიდეო, ინგლისურენოვანი/ქართული);
საწარმოო სწავლების - ჭედურობა - დაემატა 14 ინგლისურენოვანი წყარო (7 ვიდეო,ინგლისურენოვანი/ქართული);
საწარმოო სწავლების - მინანქრი - დაემატა 14 ინგლისურენოვანი წყარო (12 ვიდეო, ინგლისურენოვანი/ქართული);
კომპოზიციის სილაბუსი - დაემატა 9 (ინგლისურენოვანი ლიტერატურა)
პროექტირება და მოდელირება - დაემატა 33 ინგლისურენოვანი წყარო (12 ვიდეო, ინგლისურენოვანი/ქართული).

აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული **სტანდარტის კომპონენტთან დაკავშირებული** რეკომენდაციები (1. ***რეკომენდებულია, პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ძირითადი აღჭურვილობა და ხელსაწყოები მოწესრიგდეს /განახლდეს; 2. რეკომენდებულია, სილაბუსებში მითითებული წიგნები ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში***) შესრულებულია.
პროგრამების ,,საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება'' პრაქტიკული სწავლების ხარისხი და უსაფრთხოება პირდაპირ დაკავშირებულია სამუშაო სივრცის და ტექნიკური ბაზის მდგომარეობასთან. აღნიშნულ პროგრამაში ძირითადი აღჭურვილობა და ხელსაწყოები მოწესრიგებული და ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაშია, რაც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლებს.
ხარისხიანი პროდუქტის შექმნისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დასაცავად უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ტექნიკური და ჰიგიენური პირობა: ერგონომიული პირობები და შრომის ჰიგიენის სტანდარტები, რაც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების, ისე პედაგოგიური პერსონალის ჯანმრთელობის დაცვასა და მუშაობის კომფორტს; შრომის უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინება ხელს უწყობს იმ ხელსაწყოების და მექანიზმების ეფექტიან და გონივრულ გამოყენებას, რომლითაც სტუდენტები პრაქტიკულ მუშაობაში არიან ჩართულნი, ასევე, აღჭურვილობის მუდმივი მონიტორინგი, ტექნიკური შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში განახლება წარმოადგენს აუცილებელ პირობას, რათა სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს ეფექტიანად და უსაფრთხოდ, რაც აუმჯობესებს

როგორც სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, ასევე პროფესიული მომზადების დონეს.
სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და თანამედროვე სტანდარტებზე მორგების მიზნით, შეძენილია ორი მაღალი მონაცემების კომპიუტერი, რომლებიც გათვლილია ციფრული საპროექტო პროგრამებთან სამუშაოდ. აღნიშნული აღჭურვილობა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, იმუშაონ პროფესიონალურ პროგრამულ გარემოში და შეიმუშაონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საიუველირო დიზაინის მოდელები.
სახელოსნოს ტექნიკური ბაზა დაკომპლექტებულია შემდეგი დანადგარებითა და ხელსაწყოებით: მინანქრის მუფელის ღუმელები, საიუველირო ცეცხლი (ფუსფუსები) ხერხები, ანკა და პუანსონები, დანადგარი, მინანქრისა და ლითონის საპრიალებელი დანადგარი მბრუნავი ცილინდრები (ვალცი), ხლად ჭედვისთვის განკუთვნილი რკინის გრდემლი, დიდი ზომის ელექტრო ჩარხი/ბურღი, ელექტრო კუთხსახეხი, ხელის ელექტრო ბურღი, ჩაქუჩები (მათ შორის ხისა და რეზინის), ხელის ხერხები და მცირე ზომის დამხმარე ხელსაწყოები, სახელოსნოს მიემატა **ახალი კომპრესორი,** რომელიც გამოიყენება ნამუშევრების საბოლოო დამუშავებისა და დასრულებული სახის მისაცემად.
აღნიშნული ტექნიკური განახლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას თანამედროვე სამუშაო გარემოში.

აკრედიტაციის პროცესში გამოვლინდა საინფორმაციო რესურსების მიმართულებით ნაკლოვანებები და განისაზღვრა რეკომენდაცია: **რეკომენდებულია, მოწვეულ/აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის შიდა სიახლეების, აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ აკადემიის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნოს წერილობითი ინფორმაცია.**

მონიტორინგმა გვიჩვენა რომ თსსა-ს დიზაინის ფაკულტეტზე აქტიურად მუშაობენ აკადემიური საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმების განვითარებაზე და გამოყენებაზე. ფაკულტეტის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას უნივერსიტეტის შიდა სიახლეების, მიმდინარე აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ. ეს ხდება ადმინისტრაციული რესურსების, ელექტრონული ბაზებისა და ოფიციალური და არაოფიციალური (სოციალური გვერდები) კომუნიკაციის არხების სისტემატური და ორგანიზებული გამოყენებით, მათ შორის:

1. **ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კომუნიკაცია** - დიზაინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აკადემიურ თანამშრომელს დროული ინფორმაციასთან. ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის სისტემა წარმოადგენს მთავარ პლატფორმას, რომლითაც გავრცელდება შეტყობინებები სასწავლო პროცესის, კვლევითი პროექტების, კულტურული და კრეატიული ღონისძიებების, საერთაშორისო სტაჟირების პროგრამებისა და კონკურსების შესახებ.
2. **უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ოფიციალური ვებგვერდი** - ფაკულტეტის ვებგვერდი რეგულარულად განახლდება ახალი ცნობებით და კულტურული აქტივობების სიახლეებით, რაც ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის.
3. **შიდა ელექტრონული ბაზები და პლატფორმები** - ფაკულტეტი აქტიურად იყენებს მონაცემთა ბაზებს, სადაც იწერება და ინახება ყველა სასწავლო აქტივობა, ეს პლატფორმა ხელს უწყობს ინფორმაციის მართვას და მის სწრაფ მოძიებას, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პროცესების გამართულობას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს გასაუმჯობესებელ მხარეები და დაგეგმილი აქვს კონკრეტული აქტივობები რათა გაუმჯობესდეს ინფორმაციის გადაცემის ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- კლასტერული და პროგრამული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო სივრცის/სახელოსნოების, საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერების შედეგები;
- თანდართული დოკუმენტაცია.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.4. მატერიალური რესურსი]	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტს. ბიუჯეტი ასახავს პროგრამის შემოსავალს, ანაზღაურებას, ხარჯებს და პერსონალის განვითარებისათვის საჭირო თანხებს. აკრედიტაციის პროცესში ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია პროგრამების დეტალური ბიუჯეტის შესახებ, რადგან იგი არ მოიცავდა ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯებს. ვინაიდან დაწესებულებამ ვერ წარმოდგინა მოთხოვნილი დოკუმენტები, აკრედიტაციის საბჭომ, დასკვნაზე დაყრდნობით განსაზღვრა რეკომენდაცია: **რეკომენდებულია, რომ დეტალურად გაწერილი ბიუჯეტები შეიცავდეს ხარჯების ჩამონათვალს თითოეული პროგრამისათვის : რამდენი დაიხარჯა ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ტრენინგების ხარჯები უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს და ა.შ.**

დაწესებულებამ გაითვალისწინა განსაზღვრული რეკომენდაცია და შეიმუშავა განახლებული ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტი საკმაოდ დეტალურია, მოიცავს ხარჯებისა და შემოსავლების დეტალიზებულ ჩაშლას, რამდენადაც შესაძლებელია. გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული ხარჯები აკადემიის ბიუჯეტით იფარება და არ არის წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტში, მაგალითად, როგორიცაა ინტერნაციონალიზაციის ხარჯები.

თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ფორმა საკმარისად დეტალურია, რომ ასახოს პროგრამის განვითარებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და პროგრამის შემოსავლები, შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. საქაღალდე დანართი 018.
- დაწესებულების და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების პროცესი ფართო თანამშრომლობით წარიმართა, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით - ოქმებით, ჯგუფების შემადგენლობით, ასევე დაწესებულებაში ვიზიტით, დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების საფუძველზე. როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ რეკომენდაციების შესრულებასა და რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაში. შესაბამისად, კლასტერის რეკომენდაციის - **რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება და პროგრამის პერსონალის ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში** შესრულება დასტურდება ინტერვიუს შედეგებითა და დოკუმენტაციით.

რაც შეეხება ზოგად პრაქტიკას და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პოზიციას/არგუმენტაციას, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობა პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებასა და განვითარებაში უზრუნველყოფილია სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების, პროგრამისა და სასწავლო კურსების განახლებასა და ხარისხის შეფასების შედეგების განხილვაში, სწავლების მეთოდოლოგიის განვითარებაში, შეფასების მექანიზმების განვითარებაში, თვითშეფასებაში მონაწილეობაში, გამოკითხვების განხორციელებაში და ანალიზში, გამოკითხვის შედეგები ასევე განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები;
- რეკომენდაციების შესრულების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა;
- ხარისხის შიდა შეფასების შედეგები.

[რეკომენდაციები]

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები

o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

როგორც აღინიშნა სტანდარტის 5.1. კომპონენტის აღწერასა და შეფასებაში, ინტერვიუების შედეგად დასტურდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებსა და პროგრამების განვითარებაში. ამასთან, კლასტერის რეკომენდაციის - რეკომენდებულია, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა პროგრამების შეფასებაში და შედეგების ანალიზის უზრუნველყოფა ინდივიდუალური პროგრამის დონეზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამების შეფასებისა და ანალიზის პროცესში.

მიმდინარე წელს:

- შიდა დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი) ჩაერთნენ კურსის შემფასებელი კითხვარებით, ფოკუს-ჯგუფებითა და სამუშაო შეხვედრებით; მიღებული შედეგები აისახა პროგრამების ანალიზსა და განახლებაში.

- გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები/დარგობრივი პრაქტიკოსები) ჩაერთნენ ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუებისა და კონსულტაციების გზით; უკუკავშირი გამოიყენება პროგრამების შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური გაუმჯობესებისთვის.

ინდივიდუალური პროგრამების დონეზე შემუშავებულია პროგრამის შეფასებისა და განვითარების გეგმები, რომლებიც ეფუძნება შიდა/გარე შეფასების შედეგებს და მოიცავს საჭიროებების იდენტიფიკაციას, სტუდენტებისა და პერსონალის უკუკავშირის ანალიზს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას, შედეგების განხილვას ფაკულტეტის საბჭოზე და განახლებული პროგრამების მომზადებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ;
- პროგრამების შეფასების გეგმა;
- ხარისხის შიდა შეფასების შედეგები და მათი ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციებირჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება]	შესაბამისობაშია

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ ჩხეიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა თინათინ გაბრიჩიძე

თამარ თხელიძე